გეოგრაფიული არქეოლოგია (გეოარქეოლოგია) - არსი და განვითარების პერსპექტივები

გვანცა მოსიძე
ელ-ფოსტა: gvantsamosidze@gmail.com, gvantsa.mosidze646@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
0179, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1, საქართველო

გეოგრაფიული არქეოლოგია (გეოარქეოლოგია) გეოგრაფიისა და არქეოლოგიის მომიჯნავე მეცნიერებაა. ის აერთიანებს ჰუმანიტარულ (საზოგადოებრივ) და საბუნებისმეტყველო სამეცნიერო დისციპლინებს, განიხილავს ადამიანი – გარემოს ურთიერთობის ისტორიულ განზომილებას, იკვლევს საზოგადოების კულტურულ განვითარებას შესაბამისი ბუნებრივი ტერიტორიის ფონზე, ასევე ბუნებრივი გარემოს ცვლილებებს, აანალიზებს ლანდშაფტის ცვლილების ანთროპოგენულ ფაქტორებს. გეოოგრაფიულ-არქეოლოგიური კვლევის მეთოდებში გამოიყენება დისტანციური ზონდირების თანამედროვე მეთოდები (მათ შორის საჰაერო და სატელიტური სურათების ინტერპრეტაცია), ისევე როგორც გეოსაინფორმაციო სისტემები (GIS).

კვლევის მიზანს წარმოადგენს ახალი ინტეგრაციული დისციპლინის - გეოარქეოლოგიის არსის, მნიშვნელობის ანალიზი და საქართველოში მისი განვითარების პერსპექტივების წარმოჩენა. კვლევის მიზნად დავისახეთ, თუ სად, მსოფლიოს რომელ ქვეყანაში და რა დოზით არის გეოარქეოლოგიური მეცნიერება განვითარებული და რა კვლევები ხორციელდება ამ მხრივ. ჩვენს მიზანს ასევე წარმოადგენდა დაგვედგინა მისი სამეცნიერო და მეთოდოლოგიური კავშირები სხვა მეცნიერებებთან, განგვეხილა გეოარქეოლოგიის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი კვლევა საქართველოში პირველად ტარდება.

ამრიგად, სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილია შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის და სასწავლო პროგრამების მიმოხილვა, თეორიული დებულებები, გეოგრაფიული არქეოლოგიის მეთოდოლოგიის ზოგიერთი საკითხი და გეოგრაფიული არქეოლოგიის განვითარების მნიშვნელობა და პერსპექტივები.